1. **სატენდერო წინადადების ფასი და ხარჯთაღრიცხვა** წარმოადგინეთ სატენდერო დოკუმენტაციაში მიბმული განფასების ფორმის (ექსელის ფაილის), ტექნიკური დავალების და ტენდერში შემსყიდველის მიერ ატვირთული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად;
2. როგორც ერთეულის, ისე საერთო ფასი უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს გარეშე (მიუხედავად იმისა, პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი თუ არა). თუ პრეტენდენტი დღგ-ს გადამხდელია, დღგ-ს თანხა დაემატება ხელშეკრულების დადებისას და ხელსეკრულება დაიდება დღგ-ს ჩათვლით თანხაზე.
3. სატენდერო წინადადების ფასის წარმოდგენა უნდა შეიცავდეს იმის დადასტურებასაც, რომ პრეტენდენტს გააჩნია სამუშაოს შეუფერხებლად შესრულებისათვის საჭირო ფულადი რესურსი.
4. სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარში.
5. ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა ან/და ხარჯთაღრიცხვაში არსებითი შეუსაბამობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ყოველგვარი დაზუსტების პროცედურების გარეშე.
6. პრეტენდენტმა წინადადება უნდა წარმოადგინოს მოქმედი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად, მათ შორის, ზედნადები ხარჯების და გეგმიური მოგების ზღვრული პროცენტული მაჩვენებელი უნდა განისაზღვროს შემდეგი აქტების შესაბამისად:
   - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯების და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1-1/1463 ბრძანება;
   - ტექნიკური რეგლამენტი - ,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება.
7. შემსყიდველის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ხარჯთაღრიცხვის Excel-ის ფორმატის ფაილები ატვირთულია მხოლოდ პრეტენდენტებისათვის დამატებითი მოხერხებულობისათვის. პრეტენდენტის მიერ ტენდერში წარმოდგენილ, შევსებულ ხარჯთაღრიცხვის ფაილებში ფორმულების და გაანგარიშებების სისწორეზე პასუხისმგებელია პრეტენდენტი.
8. პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ წინამდებარე ტენდერი გამოცხადებულია კონცეპტუალურ გეგმარებასა და საორიენტაციო მოცულობებზე დაყრდნობით. წინამდებარე სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დროს მოხდება პროექტირება და დეტალიზება, შესაბამისად, პროექტანტი იმუშავებს მშენებლობის პარალელურად და ეტაპობრივად მიაწვდის მას რელევანტურ საპროექტო გადაწყვეტებს და დოკუმენტაციას. მოცულობები დაზუსტდება და ანაზღაურდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ასევე თუ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დადგება ხარჯთაღრიცხვის დაკორექტირების საჭიროება, ისეთი ახალი სამუშაოების დამატების შემთხვევაში, რომლებიც არ იყო განფასებული სატენდერო ხარჯთაღრიცხვაში, მათი განფასება უნდა მოხდეს რესურსული მეთოდით, ხოლო მასალების ღირებულება აღებული უნდა იყოს სავარაუდო მომწოდებლის მოწოდებული ინვოისის საფუძველზე. ამასთანავე, ამგვარი სამუშაოებისა თუ საქონლის შესრულებაში მიღების თაობაზე მომწოდებელს და შემსყიდველს შორის შესაბამისი აქტის შედგენისას უნდა შემოწმდეს სასაქონლო ზედნადებები თუ სხვა დოკუმენტაცია, რომლითაც მომწოდებელმა შეიძინა ამგვარი სამუშაო თუ საქონელი. ანალოგიური მეთოდის გამოყენება მოხდება გაუთვალისწინებელი სამუშაოებისთვისაც.